პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 120 (19861) სამშაბათი, 26 მაისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ვიყოთ კეთილი მასპინძლები

3 მაისი იწურება, კარზეა ზაფხული. დიდგვიანებული გაზაფხული, გრილი ამინდები ველარ აკავებს მოახლოებული ზაფხულის სითბოს და თანდათან ჩრდილი და სიგრილე სიამოვნებას გვრის ადამიანს.

ერთი სიტყვით, მძლავრად მოაბიჯებს ზაფხული და სწორედ რომ საკურორტო სეზონიც მოგვიახლოვდა. ყოველივე ეს, ცხადია, საფიქრალსა და საზრუნავს უმრავლესს ქალაქებისა და სოფლების მშრომელებს, საკურორტო რეგიონების პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებს, სამინისტროთა და უწყებათა, მომსახურების სფეროს კოლექტივებს.

ჩვენი რესპუბლიკის კურორტები მთელი საბჭოთა ხალხის სიმდიდრეა. ტყუილად როდი უწოდებენ საქართველოს საკავშირო ჯანმრთელობის მძლავრ კერას. მის შედარებით მცირე ტერიტორიაზე 260-ზე მეტი კურორტი და საგარაჯო ადგილია. ლაჟვარდოვანი ზღვა, მთიანეთის მარად თოვლიანი მწვერვალები, თვალწარმტაც მიდამოებში განლაგებული კეთილმოწყობილი საკურორტო, ჯანმრთელობის კერები, სამკურნალო მინერალური წყაროების სიუხვე — ყოველწლიურად დასასვენებლად იზიდავს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსულ ასიათასობით დამსვენებელს, ტურისტს, მოგზაურს. ასე იყო ყოველთვის და, რა თქმა უნდა, წელსაც დიდი სტუმრიანობა გველქნება, მილიონობით ადამიანი ეწვევა საქართველოს კურორტებს, დასასვენებელ, გამაჯანსაღებელ ადგილებს.

ნათელი და გასაგებია, რომ წლევანდელ ახალ სეზონში საქართველოს საკურორტო, ჯანმრთელობის, ტურისტულ დაწესებულებათა კოლექტივების წინაშე უდიდესი პასუხსაგები ამოცანები დგას — მთელი თავიანთი საქმიანობა შეუსაბამონ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნისა და დაჩქარების მძლავრ პროცესებს. ყოველივე ეს, ცხადია, ნიშნავს ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელებისათვის, ინტელიგენციის წარმომადგენლობისათვის, თითოეული სტუმრისათვის დასვენებისა და მკურნალობის საუკეთესო პირობების შექმნას.

სეზონისათვის მზადების და შემდეგ მთელი ზაფხულის პერიოდში განსაკუთრებული ორგანიზებულება, თადარიგიანობა უნდა გამოიჩინონ საკურორტო ზონის პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებმა. მათ ახლა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ ყველა რეზერვი, საკურორტო მეურნეობაში დასაქმებული ყველა ადამიანი ისე აამოქმედონ, რომ მშრომელებს, სტუმრებს შეექმნათ დასვენების, მკურნალობის, გაჯანსაღების სასურველი და მომხიბვლელი პირობები.

მშრომელთა დასვენებისა და მკურნალობის საქმეში საგულისხმო და მისაბაძი წამოწყებანი და უკვე კარგი გამოცდილებაც აქვთ აფხაზეთის, აჭარის, წყალტუბოს, ბორჯომის და სხვა საკურორტო დაწესებულებებს. ნამდვილად რომ გაამართლა გაგრის ექსპერიმენტმა „დასვენებამ“, რომელიც კარგ პირობებს უქმნის უსაზღვრო დამსვენებლებს. ამ მხრივ ქობულეთშიც გადაიდგა სასიკეთო ნაბიჯები. რა თქმა უნდა, მუშაობის ეს პროგრესული მეთოდები თანდათანობით უნდა გავრცელდეს და დაინერგოს ჩვენი რესპუბლიკის სხვა კურორტებზეც.

მიუხედავად საერთო მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესებისა, შარშან სეზონში მაინც მრავალი ნაკლი და ხარვეზი იყო დამსვენებელთა მომსახურების საქმეში. ბევრი სამკურნალო და დასასვენებელი ორგანიზაცია ვერ გამოირჩეოდა წესითა და რიგით, მუშაობის გამართულობითა და სიბეჯითით მოიკოჭლებდა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ცალკეული სამედიცინო სამსახურები, იყო უდისციპლინობის უყურადღებობის, მოტყუების, გამოძალვის ფაქტები. ამ მხრივ მრავალი სიტანალი შემოვიდა რედაქციაში გაგრის, წყალტუბოს, ბორჯომის, ქობულეთის, საირმისა და ზოგიერთი სხვა საკურორტო ზონიდან.

ცხადია, ის, რაც იყო, წარსულს ჩაბარდა, მაგრამ მას ვიხსენებთ იმისათვის, რომ სათანადო, სწორი დასკვნები გამოვიტანოთ და საქმე ისე მოვაგვაროთ, რომ გამართულად, თანამედროვე გარდაქმნის დონეზე მოქმედებდეს საკურორტო სამსახურების ყველა დარგი, ყველა რგოლი და უბანი.

საკურორტო სეზონისათვის მზადების აქტუალურ, გადაუდებელ და საჭირბოროტო პრობლემებს მიექცა ყურადღება ამ დღეებში წყალტუბოში გამართულ რესპუბლიკურ თათბირზე, რომელმაც მეტად მნიშვნელოვანი რეკომენდაციები შეიმუშავა სეზონის ორგანიზებულად დამთავრებისათვის, თანამედროვე მოთხოვნათა მიხედვით მთელი საკურორტო მეურნეობის, ცხოვრების, საქმიანობის გარდაქმნისათვის, დამსვენებელთა ყოველმხრივი მომსახურების მკეთური გაუმჯობესებისათვის.

ერთი სიტყვით, სამუშაო, საზრუნავი და საფიქრალი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. ამთავითვე ენერგიული მუშაობა უნდა გავაჩაღოთ იმ აუცილებელი და გადაუდებელი საქმის მოსაგვარებლად, რომელიც ჩვენს კურორტებზე და საერთოდ დამსვენებელთა კეთილ, მაღალხარისხოვან მომსახურებას ეხება. ეს ახლა საკურორტო ზონის საბჭოთა, სამეურნეო, ადმინისტრაციული, სასალხო კონტროლის, ჯანდაცვის ორგანოების ყოველდღიური საზრუნავი უნდა იყოს. აუცილებელია სისტემატურად მოწმდებოდეს ყოველგვარი სამუშაოები, ვიღებდეთ გადაწყვეტ ზომებს მდგომარეობის ნორმალური წარმართვისათვის. ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა სამკურნალო-პროფილაქტიკური სამსახურების მოწესრიგება, აქ დისციპლინის, გულისხმიერი დამოკიდებულების ამაღლება, მათი მთელი მუშაობა უნდა აამაყოფილებდეს დამსვენებელთა მოთხოვნებს, საჭიროებებს, სურვილებს. ჩამოსულ სტუმარს არ უნდა უსდებოდეს რიგებში დგომა, დროის დაკარგვა, ნერვოზობა, გუნება-განწყობილების გაფუჭება. განსაკუთრებული ორგანიზებულობა და სიფხიზლე მართებთ ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების, ცეკავშირის უწყებებს. სწორედ მათი ბადალბინობის ორგანოების გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული დამსვენებელთა კეთილდღეობისა და კარგი განწყობილების შექმნა. ამ მხრივ მუშაობაში არ უნდა გამოვკრჩეს არც ერთი ისეთი უბანი, სადაც ჯეროვანი წესრიგი და წესიერება არ იქნება დამყარებული. ახლავე უნდა შეკეთდნენ ისეთი ვითარება, რომ ჯანმრთელობის კერები, ტურისტულ-საექსკურსიო ბიუროები, ადგილობრივი აფთიაქები უზრუნველყოთ საჭირო რაოდენობის მედიკამენტებით. განსაკუთრებული სიფრთხილე და სიფაქიზე მართებთ სანეპიდსადგურების სამსახურებს. მათი მთელი პროფილაქტიკური და პრაქტიკული მუშაობა მიმართული უნდა იყოს იმისათვის, რომ არ გაჩნდეს ინფექციურ დაავადებათა კერები. ამ საქმეს სისტემატური კონტროლი, ადგილობრივი ორგანოების თანადგომა სჭირდება.

ახლა მთავარი და გადამწყვეტი ის არის, რომ ყველა დაწყებული სამუშაო დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულდეს, ყველა პირობა უნდა შეექმნათ იმისათვის, რომ წლევანდელ საკურორტო სეზონში არ განმეორდეს წარსულის შეცდომები, ნაკლოვანებები და ხარვეზები. ამისათვის კი საჭირო იქნება ახლავე ვიზრუნოთ, რათა მომსახურების ყველა რგოლი და უბანი დავაკომპლექტოთ კვალიფიციური, კეთილსინდისიერი კადრებით.

მაღე დადგება საკურორტო სეზონი, რომლის მთელ მანძილზე სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების ცალკეული კოლექტივების, გამაჯანსაღებელ ადგილებში მომუშავეთა მთელი საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს ერთ მთავარ საქმეს — ჩვენი მშრომელი ადამიანების კეთილ, თანამედროვე მოთხოვნის დონის შესაბამის მომსახურებას, სანიშნო მასპინძლობას, სისუფთავისა და წესრიგის დაცვას. ამ მიზნით სისტემატურად უნდა მოვწყოს მასობრივი რეიდები, შემოწმებები. მთავარია ყველა ამ ღონისძიების შედეგი დამსვენებელმა იგრძნოს და კეთილი განწყობილებით, დიდი მადლიერების გრძნობით ბრუნდებოდეს შინ. ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ხალხმა, თითოეულმა დამსვენებელმა იგრძნოს გარდაქმნისათვის დიდი მოძრაობის ძალა და სიკეთე, ასეთია ახლა საკურორტო ზონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანოების, მომსახურების სფეროს დაწესებულებების კოლექტივების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა და სასტიკი მოვალეობა.

მ. ს. გორბაჩოვი რუმინეთში გაფრინდა

25 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი მოსკოვიდან ბუქარესტში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად გაემგზავრა რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ნ. ჩაუშესკუს მიწვევით.

მ. ს. გორბაჩოვთან ერთად გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი.

ვნუკოვოს აეროდრომზე მ. ს. გორბაჩოვი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ა. ა. გრომიკომ, ვ. ი. ვოროტნიკოვმა, ლ. ნ. ზაიკოვმა. ი. კ. ლიგაჩოვმა, ნ ი. რიჟკოვმა, მ. ს სოლომენცევმა, ე. ა. შევარდნაძემ, ვ. მ. ჩებრიკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა პ. ნ. დემიჩევმა, ვ. ი. დოლგიხმა, ბ. ნ. ელცინმა, ა. ნ. იაკოვლევმა, ნ. ნ. სლიუნკოვმა, ს. ლ. სოკოლოვმა. ნ. ვ. ტალიზინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ა. პ. ბირიუკოვამ, ა. ი. ლუკიანოვმა, ვ. პ. ნიკონოვმა, გ. პ. რაზუმოვსკიმ, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ი. ვ. კაპიტონოვმა და სხვა ამხანაგებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დროებითი საქმეთა მაწარმოებელი სსრ კავშირში ნ. სტანეა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში გ. კენიგი. (საკდესი).

სსრ კავშირ-რუმინეთი: კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის გზით

მ. ს. გორბაჩოვი რუმინეთის მიწა-წყალზე

სურათზე: აეროპორტში დახვედრისას. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ბუქარესტი. 25 მაისი. (საკდესის სპეც. კორ. ა. ბელიკოვი, ო. შიროკოვი, გ. შიშკინი). დღეს მ. ს. გორბაჩოვი ბუქარესტს ჩამოვიდა. საბჭოთა ხელმძღვანელი ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტს ახორციელებს რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ნ. ჩაუშესკუს მოწვევით. მასთან ერთად ჩამოვიდა ვ. ა. მედვედევი.

მაისის სიო არბევს სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებს. აეროპორტის შენობაზე წითლად გიზგიზებს მისასალმებელი ტრანსპარანტები. საფრენ მინდორზე გამწკრივებულია რუმინეთის შეიარაღებული ძალების საპატიო ყარაული.

საზეიმო შეხვედრის ადგილზე მოსული „ილ-62“ ავიალაინერის კიბესთან საბჭოთა ხელმძღვანელსა და მის მეუღლეს გულთბილადა შეიგება ნ. ჩაუშესკუ მეუღლითურთ.

ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი მისალმა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს კ. დასკალესკუს, რუმინეთის სხვა პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს.

ორი მომმე პარტიის ხელმძღვანელები ადიან პოდიუმზე, ყელს ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები. აეროდრომს გრიალით გადაუარა 21-ზალპიანი სალუტი ელერიო სალუტის ეკომ.

საპატიო ყარაულის უფროსმა პატაკი ჩაბარა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს. საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის ხელმძღვანელებმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს.

შემდეგ მ. ს. გორბაჩოვს წარუდგინეს რუმინეთის მთავრობის წევრები.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ბუქარესტელი ელჩი და რუმინეთის მოსკოველი ელჩი.

ამხანაგებს მ. ს. გორბაჩოვსა და ნ. ჩაუშესკუს გულთბილად მიესალმნენ ბუქარესტის კოლექტივების წარმომადგენლები.

შეხვედრის საზეიმო ცერემონიის დასასრულს ჩაიარა საპატიო ყარაულმა.

აეროდრომიდან ავტომანქანების კორტეჟი მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტით ქალაქისაკენ გაემართა. გზად, ქუჩებში და მოედნებზე გამოკიდული იყო საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები, ტრანსპარანტები, რომლებიც ადიდებენ რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას.

ათასობით ბუქარესტელი გამოეფინა ქუჩებში, რათა მისალმებოდა საბჭოთა სტუმარს. ყიჟინრდა მუსიკა ცნობილი პროფესიული და პოპულარული თვითმოქმედი ორკესტრების შესრულებით, მღეროდა ციცქლოვანი ეროვნული ანსამბლების ფირნულში ახალგაზრდობა.

მანქანების კორტეჟი შეჩერდა გამარჯვების მოედანზე, სადაც განსაკუთრებით ბევრ ხალხს მოეყარა თავი. ამხანაგებს მ. ს. გორბაჩოვსა და ნ. ჩაუშესკუს შეეგებნენ ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილი ქალიშვილები და ჯაბეკები, რომლებმაც ყვავილები მიართვეს მათ. პიონერებმა საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის ხელმძღვანელებს გაუკეთეს წითელი ყელსახვევები.

შეხვედრის რომელ მონაწილესთანაც უნდა ესაუბრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ყველანი ერთსულოვნად უსვამდნენ ხაზს საბჭოთა ხელმძღვანელის ვიზიტების დამახასიათებელ ნიშანს: ეს ვიზიტები საქმიანი, სამუშაო განწყობილებით გამოირჩევა.

• • •

ამავე დღეს გენერალური მდივანი იყო თავისუფლების პარკში. აქ პანთეონთან გიზგიზებს მარადიული ცეცხლი საოკეთესო რუმინელი მამულიშვილების ხსოვნის აღსანიშნავად, რომლებმაც თავი გასწირეს თავიანთი ქვეყნის ნათელი მომავლისათვის. მ. ს. გორბაჩოვმა ძეგლი შეამკო გვირგვინით, რომლის ლენტზეც წარწერილია: „ხალხისა და სამშობლოს თავისუფლების, სოციალიზმისათვის ბრძოლის გმირებს“.

„რუმინეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულ საბჭოთა გმირებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისაგან“. — წარწერილი აქვს ლენტზე გვირგვინს, რომელიც გამარჯვების მოედანზე მიიტანეს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჯარისკაცთა და ოფიცერთა ძეგლთან, ჰიტლერიული ფაშიზმისაგან რუმინეთის განთავისუფლებას რომ შესწირეს თავი.

ერთ-ერთ ცენტრალურ — სკენტეის მოედანზე გაიმართა ვ. ი. ლენინის ძეგლის (გვირგვინით შემკობის ცერემონია.

გვირგვინებით შემკობის დროს გამწკრივებული იყო რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საპატიო ყარაულები, შესრულდა ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები.

• • •

ძეგლებთან, რომლებიც გვირგვინებით შეამკეს, მოეწყო სიტყვრები ბუქარესტის მცხოვრებლებთან.

— კარგი ქალაქი გაქვთ. კმაყოფილი ხართ თქვენი ქალაქით? — დაინტერესდა **მ. ს. გორბაჩოვი.**

ხმები: დიახ, ჩვენ გვიყვარს იგი და ვცდილობთ კიდევ უფრო გალამაზოთ.

მ. ს. გორბაჩოვი: ბევრი ცვლილებაა ბუქარესტში, დიდი რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. გეგონა, მარტო ჩვენ ვადგავართო გარდაქმნის გზას, თურმე ყველას განუზრახავს ეარდაქმნა. გაჩერება არ შეიძლება! მაინც იმედი მაქვს, რომ ისტორიულ არქიტექტურას შეინარჩუნებთ, მოსკოვში ეს ზოგან ვერ შეეძელით და ახლა ვნანობთ.

მოედანზე, სადაც აღმართულია 1944-45 წლებში ფაშიზმისაგან რუმინეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული სსრ-ქადელო საბჭოთა მეომრების ძეგლი, მ. ს. გორბაჩოვმა შეკრებილთ მიმართა და თქვა: უნდა განვაგრძოთ საქმე, რომლის გულისთვისაც ხალხმა თავი გასწირა. ეს ცოცხალთა ვალია!

ძალზე მახარებს, რომ ამ გზაფხულის დღეებში მომიხდა თქვენთან სტუმრობა. რუმინეთში პირველად ვარ. თქვენ რას მეტყოდით?

ხმები: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მიხეილ სერგის ძევ, ჯანმრთელობა, ბედნიერება, წარმატება ნუ მოგკლებოდეთ თქვენს საქმიანობაში.

მ. ს. გორბაჩოვი: გმადლობთ. მეც ამასვე გისურვებთ. ახლა ჩვენ დიდი საქმიანი მოლაპარაკება გვექნება ამხანაგ ჩაუშესკუსთან. საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის კარგი ურთიერთობა არსებობს. მაგრამ ხომ უნდა დავაწინაუროთ იგი.

განავითარა რა ეს აზრი სკენტეის მოედანზე მშრომელებთან მოკლე დიალოგში, მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ ორი ქვეყნის თანამშრომლობის გაღრმავებით დაინტერესებული არიან საბჭოთა ადამიანებიც და რუმინელი მშრომელებიც. სანამ კაცი მომავალზე ფიქრობს, ყველაფერი რიგზეა, თქვა მან, მაგრამ საკმარისია გაჩერდეს, — და ცუდი ამბავი მოხდება. ამხანაგ ჩაუშესკუსთან და სხვა ხელმძღვანელებთან მოლაპარაკება შეეხება ორმხრივ ურთიერთობას.

ხმა: იმისათვის, რომ წინ ვიაროთ, მშვიდობაა საჭირო.

მ. ს. გორბაჩოვი: ჩვენ ვილაპარაკებთ ომისა და მშვიდობის საკითხებზეც. იმაზე, თუ რა უნდა იღონონ სოციალისტურმა ქვეყნებმა მისი შენარჩუნებისათვის. ჩვენს ქვეყნებს სრული ურთიერთგაგება აქვთ. როგორც საბჭოთა კავშირის, ისე რუმინეთის ხელმძღვანელობა კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებს მშვიდობის დასამკვიდრებლად.

ხმა: ეს ასეა, და ჩვენ ვფიქრობთ, რომ მშვიდობა განმტკიცდება.

მ. ს. გორბაჩოვი: სოციალისტური ქვეყნები მკვდრად დგანან ფეხზე. ჩვენ შეგვიძლია ვიკამათოთ, ვიპაექროთ იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა და როგორ მოვიქეცეთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო უკეთ გვქონდეს საქმე. ჩვენ ვეფიქრთხილდებით ჩვენს სოციალისტურ სახლს, ვამაგრებთ, ვალამაზებთ, როცა საჭიროა — ვარემონტებთ. ეს ჩვენი საქმეა. ვხედავ, თქვენ მზრუნველობას არ აკლებთ შშობელ ქვეყანას.

სსრ კავშირ-რუმინეთი: ეკონომიკური ურთიერთობა

ბუქარესტი. (საკდესის სპეც. კორ. ა. ბელიკოვი). **სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი** ბუქარესტში ჩამოვიდა. ამ ბრიგადის ეკონომიკური ურთიერთობა ეხება. ეს ბრიგადა ბუქარესტში ჩამოვიდა ეკონომიკური ურთიერთობის, ტექნიკურ-მეცნიერული თანამშრომლობის, ეკონომიკური, ტექნიკური და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, ეკონომიკური ინფორმაციის, ეკონომიკური ინფორმაციის, ეკონომ

შემხვედრი შეკახილი

დაიწყო შემაჯამებელი მეცადინეობები პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში. წლევანდელი მეცადინეობები განსაკუთრებულ ვითარებაში ეწყობა არა მარტო იმიტომ, რომ გარდაქმნის, ახლებურად მუშაობის სამ ან ამ დარგსაც შეეხო (ადგილებზე სულ უფრო და უფრო თამამად ეძიებენ საქმიანობის უკეთ მოწყობის ფორმებს, მეცადინეობათა იმგვარად წარმართვას, რომ რაც შეიძლება დაეხმაროს მსმენელი, ითვალისწინებენ „1986-87 სასწავლო წელს მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ორგანიზაციის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნებს), არამედ კიდევ იმიტომაც, რომ სწორედ ამ განაფიცულზე შეიმუშავა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პროექტი „მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემის გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი“ და წარუდგინა იგი საბჭოთა ხალხს განსახილველად. და სად განიხილავენ მას უფრო ფართოდ და გამოწვლილვით, თუ არა შემაჯამებელ მეცადინეობებზე.

კომუნისტები, მშრომელები მსჯელობენ, გამოთქვამენ თავიანთ აზრს პროექტის ირგვლივ, საერთოდ თავიანთი საქმიანობის სპეციფიკაზე, ერთობლივად ეძიებენ უკეთ მუშაობის გზებს და მეთოდებს.

საქართველო სსრ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პრობლემური სემინარის „ადამიანი და კულტურა“ მონაწილეებმა თავიანთ შემაჯამებელ მეცადინეობაზე თითქოსდა საბოლოოდ მოუყარეს თავი მთელი წლის მანძილზე შესწავლილ მასალას.

რატომ დადგა წინა პლანზე ასე გადამწყვეტად ადამიანის ფაქტორი და რას ნიშნავს იგი? სვამს კითხვას პროპაგანდისტი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ვაჟა გოგობერიშვილი და თავადვე უპასუხებს: იმიტომ, რომ წლების მანძილზე რაღაც უცნაურ უკიდურესობაში ვიყავით ჩაგრძნილი. უმთავრესად ყურადღებას ვუთმობდით საქმეს, ეკონომიკას, გეგმების შესრულებას და ამ ერთგვარ საქმიან ორომტრიალში ნაკლებს ვფიქრობდით ადამიანზე, იმაზე, ვისზეც აბსოლუტურად არის დამოკიდებული იგივე საქმის როგორც წარმა მატერიალება, ისე უკეთობა შეტრიალება, ვისაც უნდა იგივე საქმიანობის შედეგი, იგივე განვითარებული ეკონომიკის კონკრეტული უკუგება.

აი დადგა დრო, როდესაც ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ადამიანი არის არა მხოლოდ ძირითადი საწარმოო ძალა, არამედ, და ეს, რასაკვირველია, უმთავრესია, პიროვნება თავისი ურთულესი შინაგანი ბუნებით, საინტერესო სამყაროთი, მრავალმხრივი შესაძლებლობებით და სხვადასხვაგვარი მოთხოვნილებებით; და რაც უფრო ღრმად და საფუძვლიანად გამოვიკვლევთ მის ბუნებას, რაც უფრო უკეთეს პირობებს შევუქმნით სამოქმედოდ, სამუშაოდ, მით მეტად გაიჯვრება ისიც, მით მეტად გაძლიერდება მისი ძალისხმევა.

როდესაც გარედან სასიკეთო ხმა ისმის, განაგრძობს პროპაგანდისტი, როდესაც ზემოდან ჯანსაღი მიმართულება უფრო და უფრო მძლავრად მიიკვლევს გზას, ჩვენც ყოველივე ამას შემხვედრი შეძახილი უნდა დავაგვიდროთ, რაც შეიძლება თამამად უნდა ვამსჯელოთ აზროვნებაში აქამდე არსებული სტერეოტიპები, უნდა ვიაზროვნოთ, უნდა ვიმოქმედოთ ახლებურად.

უნდა მივაღწიოთ იმასაც, რომ ყველა ადამიანისათვის საქმიანობა შინაგანი მოთხოვნილება იყოს და არა ნაძალადევად გარედან მოხვეული ვალდებულება, რომ კარგად მუშაობას მას შინაგანი ხმა, სინდისი ავალებს და არა ადმინისტრაციული სასჯელის შიში.

ეს ყველაფერი სულის კანონებია. ვისთვის არის უფრო მახლობელი და მტკივნეული ამდაგვარი პრობლემები, თუ არა შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივისათვის. ადამიანის სულს ხომ სწორედ ხელოვნება ასაზრდოებს და, თუ გნებავთ, ზრდის კიდეც. ამიტომაც მეცადინეობაზე დროის საერთო მოთხოვნები თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას დაუკავშირეს და ამ პრიზმით გადახედეს სამომავლო სამოქმედოს.

უმაღლესი სკოლის შესახებ ზემდგომ ორგანოთა ბოლოდროინდელი დადგენილებები ბევრ საინტერესო სიახლეს გვიბრდება. რაც მთავარია, იქმნება შესაძლებლობა ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით პედაგოგმა თავად გადაწყვიტოს რამდენი საათი დაუთმოს ამა თუ იმ თემას და ამასთან მეცადინეობის ფორმაც თვითონ განსაზღვროს. დიდი იმედებია დიალოგის ფორმაზე.

— მე მგონია, მორს არ არის ის დრო, — თქვა ფილოსოფიის კათედრის გამგემ, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რევაზ ბალანშივაძემ, — რომ, მაგალითად, ჩემი სტუდენტებიდან ერთი „ჩაჯდეს“ ბოროტის როლში, მეორე იუმის, მესამე — მარქსის; გიმართოს აზრთა ჭიდილი. აი ამგვარ პაერზეა უნდა გაიმართოს ჭეშმარიტ ფილოსოფიურ ფიქრებზე. ამისათვის სტუდენტი უნდა იცნობდეს როგორც ბერკლის, ისე იუმის მოძღვრებასაც, და რასაკვირველია მარქსისტულსაც. თავად სწავლების ამგვარი ფორმა, ეფიქრობ, უფრო მეტად დაინტერესებს სტუდენტს და შესაბამისად შედეგიც უფრო ეფექტიანი იქნება.

უფრო და უფრო იხვეწება მისაღები გამოცდების სისტემა. ამ ბოლო წლებში ამ მიმართულებით მუშაობას საფუძვლად უდევს კადრების მიზნობრივი მომზადება, რაც იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი სკოლის კედლებში ოსტატდებიან ახალგაზრდები კონკრეტულად რომელიმე თეატრის, ტელევიზიისა თუ კინოსტუდიისათვის, რადგან მიღება ძირითადად აქედან, ადგილებიდან მოსული მოთხოვნების საფუძველზე ეწყობა. ეს პრაქტიკა ახალგაზრდა სპეციალისტს უსამსახუროდ დატოვების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებაც არის და ადგილებზე კადრების დასაქმების ნათელ სურათსაც ხატავს, წელსაც მიღების 65 პროცენტი სწორედ მიზნობრივი წესით არის გათვალისწინებული.

ამ ბოლო ხანს აქ კიდევ ერთი პრობლემაც წარმატებით გადაწყდა. ეს გახლავთ, საწარმოო ენით რომ ვთქვათ, ინსტიტუტის პროდუქციის წარმოებაში დანერგვა. ინსტიტუტი წარმოებაში, ესე იგი, პერიფერიის რომელიმე თეატრში დგამს საკურსო და სადიპლომო სპექტაკლებს, რომლებიც შემდეგ თეატრის რეპერტუარში რჩება. ამგვარმა პრაქტიკამ, უნდა აღინიშნოს, გაამართლა დანიშნულება.

მთელი რიგი სიახლეებია გათვალისწინებული თვით სასწავლო პროცესის დახვეწა-გამდიდრება-გამრავალფეროვნებისათვის. ერთ-ერთი ექსპერიმენტთაგანი ასეთია: ორ სალექციო საათს ამიერიდან ცოტა სხვანაირად გამოიყენებენ. კერძოდ, ერთი ასტრონომიული საათი, ესე იგი, 60 წუთი დაეთმობა ლექციას, ხოლო დანარჩენი ნახევარი საათი გამოიყენება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობისათვის. ამგვარად, სალექციო დროის შემცირების ხარჯზე მეტი დრო დაეთმობა ინდივიდუალურ საქმიანობას, რასაც არ შეიძლება პოზიტიური შედეგი არ მოჰყვეს.

ერთი სიტყვით, წინ საინტერესო შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე დღეებია და ინსტიტუტის კოლექტივი ამისათვის მზად არის, რაც ნათლად გამოჩნდა შემაჯამებელ მეცადინეობაზე.

გ. ხარებავილი.

ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ — ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ

რეზერვები — საქმეში

ᲒᲣᲜᲓᲘᲡ № 2 შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადამ, რომელსაც საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვარლამ ხინთუბა მეთაურობს, დაიწყო კაპიტალური სამთო გვირაბის გაყვანა სათბობის შრისაკენ, რომლის მარაგი, წინასწარი გაანგარიშებით, დაახლოებით მილიონ ტონას შეადგენს.

ქვანახშირის დამატებითი ძიება, რომელიც წინათ ბალანსში არ ირიცხებოდა, ადასტურებს პროგნოზებს: შახტის სიცოცხლე კიდევ 10-12 წლით გახანგრძლივდება.

ეს ბრიგადა, რომელიც ჩაბმულია მოძრაობაში დისციპლინის კოლექტიური გარანტიისათვის, ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამეურნეო საქმიანობის მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევას: აქ კარგ საფუძველს ქმნის შეძენილი გამოცდილება, მისი შესწავლა და გამრავლება. სწორედ ამის მეოხებით გახდა შესაძლებელი დამატებითი რეზერვების გამონახვა, მათი წარმოების სამსახურში მოქცევა.

ვ. ხინთუბას ბრიგადის თაოსნობას მხარი დაუჭირეს აზბეი კობახიას, ლავრენტი ბობოხიას და სხვათა ბრიგადებმა. ისინი ყველანი მუშაობენ დეკეზიით, „შრომისა და საზოგადოებრივ დისციპლინას — კოლექტივის გარანტია“, იბრძვიან წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარებისათვის, ცდილობენ ღირსეული შრომითი საჩუქრებით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავი.

(საქინფორმი).

ᲒᲐᲜᲖᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ (ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ) ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲕᲘᲛᲝᲬᲐᲤᲘᲚᲝᲗ რა პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვაში, გვინდა გამოვთქვათ შემდეგი მოსაზრებანი და შენიშვნები:

პროექტში, ახლებურად, სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნების სულისკვეთებით არის ჩამოყალიბებული დემოკრატიის განვითარების, საწარმოთა თვითმმართველობის თანამმდევრული დანერგვის საკითხები. კერძოდ, მეექვსე მუხლის მესამე პუნქტში მითითებულია: „საწარმოს, გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ირჩევს შრომითი კოლექტივის / საერთო კრება (კონფერენცია) ფარული ან ღია კენჭისყრით... 5 წლის ვადით და ამტკიცებს ზემდგომი ორგანო“. ხელმძღვანელთა არჩევნები, დეპუტატთა არჩევის სისტემის მოსალოდნელი შეცვლა, არჩევით ორგანოებში ნამდვილი კოლექტიურობის დამკვიდრება, თანასწორობის საკითხების თავისუფალი და პრინციპული განხილვის ვითარების დამკვიდრება უდავოდ შეუწყობს ხელს დემოკრატიის განვითარებას, ქვეყნის, წარმოების ბედით მასიბრის უკეთ დაინტერესებას. ისეთი პირობების შექმნას, რომელიც თითოეულ მშრომელს ნამდვილად აგრძნობინებს თავს ქვეყნისა და საკუთარი საწარმოს ბატონ-პატრონად. ეს ახლა ნათელია ყველასათვის. მაგრამ, ასეთ პირობებში ხელმძღვანელთა ღია კენჭისყრით არჩევა არ მიგვაჩნია სწორად. არჩევის ვადაზეც გვაქვს შენიშვნა. ხელმძღვანელი, რომელიც ვერ გაამართლებს ნდობას, შრომითი კოლექტივის საერთო კრებამ (კონფერენციამ) ვადამდე უნდა გადაიჩიოს. საბოლოოდ, ჩვენი აზრით, პუნქტი ასე უნდა ჩამოყალიბდეს. „საწარმოს, გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ირჩევს შრომითი კოლექტივის საერთო კრება (კონფერენცია) ფარული კენჭისყრით... 5 წლის ვადით. შრომითი კოლექტივებს უფლება აქვთ, ხელმძღვანელი, რომელმაც ვერ გაამართლა იმედები, ვადაზე ადრე გადაიჩიონ“.

პროექტის მეკამეტე მუხლის მეშვიდე პუნქტში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საწარმოს კავშირს სკოლებსა და სასწავლებლებთან, საწარმოთა მიერ ამ მიზნით გამოყოფილ ფინანსებს. „საწარმო, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას ან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს არის მიმაგრებული როგორც საბაზო, ორგანიზაციას უწევს მათი მოსწავლეების შრომითს მომზადებას და ქმნის საამისოდ საჭირო პირობებს“, — ნათქვამია პროექტში.

ჩვენი აზრით, დადგა დრო პროფტექნიკური სასწავლებლები იქმნებოდეს დიდ საწარმოებში, მათს ბაზაზე, მათი დაქვემდებარებით და სპეციალისტებს ძირითადად ამზადებდეს საწარმოს პროფილის მიხედვით. ამ მოსაზრების გათვალისწინებით ზემომითითებულ პუნქტს შეიძლება დაემატოს — „ამასთან დიდ საწარმოებში, მათს ბაზაზე და მათდამი დაქვემდებარებით გაიხსნას პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, რომლებიც ძირითადად ამ საწარმოებისათვის მოამზადებენ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს“. ეს უდავოდ გაზრდის კადრების მომზადებისათვის პასუხისმგებლობას, საწარმოო პრაქტიკის მნიშვნელობას, ხელს შეუწყობს კადრების მომზადებაში ფორმალიზმის დაძლევას, მაღალი თანრიგის მიღებას, სწავლის პროცესში მოსწავლეთა მატერიალურ დაინტერესებას.

პროექტის მეექვსე მუხლის მეოთხე პუნქტში ვკითხულობთ: ერთმმართველობას უზრუნველყოფს ხელმძღვანელი — გენერალური დირექტორი, დირექტორი, უფროსი, მმართველი. „ხელმძღვანელს ენიჭება გარკვეული უფლება საწარმოს საქმიანობის ორგანიზაციისათვის, პასუხისმგებლობა მისი შედეგებისათვის შრომითი კოლექტივებისა და სახელმწიფოს წინაშე, უზრუნველყოფს კანონმდებლობის დაცვას. იგი ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის მუშაობას და ანდენს საჭირო სამეურნეო ოპერაციებს“. ჩვენი აზრით, დებულება — „ხელმძღვანელს ენიჭება გარკვეული უფლება“—უნდა შეიცვალოს გამოთქმით: „ხელმძღვანელს ენიჭება დიდი უფლება“. საწარმოში თვითმმართველობის სისტემის დანერგვა არ ამცირებს ხელმძღვანელის როლს, პირიქით, ზრდის მას, ზრდის პასუხისმგებლობას კოლექტივის წინაშე, ამიტომ „გარკვეული უფლების“ მიცემით

ᲛᲘᲕᲕᲐᲜᲘᲭᲝᲗ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ

იგი ვერ შეძლებს მუშაობის გარდაქმნას, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას. დიდი უფლებისა და დიდი პასუხისმგებლობის შეხამებით შეიძლება ურთულესი ამოცანის გადაწყვეტა, რომელსაც დღეს საწარმოს წინაშე აყენებს პარტია.

პროექტის მეოთხე მუხლის მეოთხე პუნქტში სხვა უფლებებთან ერთად საწარმოს შეუძლია „გადასცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს, გაყიდოს, გაცვალოს, იჯარით გასცეს, უსასყიდლოთ მისცეს დროებით სარგებლობაში ან სესხად გამოიყენებული შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ინვენტარი, ნედლეული და სხვა მატერიალური ფასეულობანი...“ ჩვენი აზრით, სიტყვა „უსასყიდლოდ“ ზედმეტია და უნდა ამოვიღოთ, რადგან ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება სოციალიზმის პრინციპს და ზიანს მოუტანს საწარმოს, წაახალისებს ხელმძღვანელთა თვითნებობას, ცალკეულ შემთხვევაში კი პროტექციონიზმსა და ძმაბიჭობას, სოციალისტური საკუთრების მფლანგველობას, მისდამი უყაირათო დამოკიდებულებას.

უაღრესად მნიშვნელოვანია პროექტის მეორე მუხლის მეორე პუნქტში ჩამოყალიბებული მოთხოვნები იმის შესახებ, რომ „საწარმოო მოქმედებს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით. მისი საწარმოო, სოციალური საქმიანობა და შრომის ანაზღაურება ხორციელდება შრომითი კოლექტივის მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე... საწარმომ მოგების (შემოსავლის) ნაწილი უნდა გამოიყენოს ბიუჯეტის, ბანკებისა და ზემდგომი ორგანოს წინაშე ვალდებულებათა შესასრულებლად. მეორე ნაწილი გადდის მის სრულ განკარგულებაში და შრომის ანაზღაურების სახსრებთან ერთად ქმნის კოლექტივის სამეურნეოანგარიშ შემოსავალს, რომელიც საწარმოს ცხოველმოქმედება, გასდის წყალი, რაც [illegible] ეურებს საფრინველეს. დირექტორი ითითქმის ჩაუფიქრდა ამ დგომარეობას და თუნდაც ერთ-ორ [illegible] ბლა ბალანსის გაზრდა [illegible] ბით შეცვალეს, [illegible] თანხა ჯდება და იოლად არ ზიანდება.

გარდა ამისა, საკვებს ამდიდრებენ ცეოლითით, რითაც დიდ ეკონომიას ეწევიან. დანერგეს ფრინველის ჭირის საწინააღმდეგო აცრები მშრალი აეროზოლური მეთოდით, რითაც წელიწადში 110-120 ათას მანეთს ზოგავენ. იყენებენ აგრეთვე ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინას, რომელსაც ასკანელის თიხაში ურევენ და ქათამი მას ყლაპავს. დიდია ამით მიღებული ეკონომიკური ეფექტი.

ყველა ამ სიახლის დანერგვის შედეგია, რომ, თუ ფაბრიკაში 1980 წელს 500 კაცი შუშაობდა, ამჟამად 430 კაცი მუშაობს. და მუშახელის ამ რაოდენობამ შარშან 300 ტონით მეტი დიეტური ხორცი და 10 მილიონი ცალი კვერცხი მიიღო. ეს ფაქტი კომენტარს არ საჭიროებს. ფაბრიკის მოგებამ ხუთწლედის პირველ წელს 450 ათას მანეთს გადააჭარბა. ამ მაჩვენებლებისათვის ფაბრიკამ დაიმსახურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ბლკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. წელს იანვარ-თებერვალში გაზრდილია ფაბრიკის ყველა მაჩვენებელი შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ამჟამად მიმდინარეობს ფაბრიკის რეკონსტრუქცია. წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა სიმძლავრეები ასი ათასი ფრთა მოქცევისათვის. ეს 22,5 მილიონი ცალი კვერცხია. რეკონსტრუქციის შედეგ ფაბრიკის სიმძლავრეები 1,5-ჯერ გაიზრდება. ფაბრიკის ეკონომიკური მაჩვენებლები წლიდან წლამდე სამგალითოა, მაგრამ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, პროდუქციას ზედმეტ ტვირთად რომ არ აწვებოდეს ის ძირითადი საშუალებების საამორტიზაციო ანარიცხები, რომლებიც არ მონაწილეობენ პროდუქციის შექმნაში. რამდენიმე საფრინველი (ყოველ მაგალი კი 250 ათასი მანეთი ღირს) საწარმოს ბალანსზეა, მაგრამ უმოქმედოა, რადგან არ თბება და წყალს არ ღებულობს. მიზეზი? მშენებელთა დაუდევრობა!

დაუმონტაჟებელია აგრეთვე 4-5 წლის წინათ მიღებული უნგრული მოწყობილობა, რომელიც ამის გამო მორალურად მოძველებულია. ყველა ეს საკითხი დაჩქარებულ გადაწყვეტას მოითხოვს. სანიმუშო ფაბრიკას ხელშეწყობაც სანიმუშო უნდა.

დ. ᲑᲘᲭᲐᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲗᲐᲗ. ᲙᲝᲠ.

ᲛᲔᲠᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ თბილისი წელს საოთავეში უდგას ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკას. მისი ხელმძღვანელობით ჩამორჩენილი საწარმო სანმაგალითოდ იქცა, მრავალჯერ დაიმსახურა საკავშირო და რესპუბლიკური გარდამავალი დროშები. კოლექტივის ბევრი წევრი ფასეულობენი ორდენებით და მედლებით. თავად დირექტორი ლეონიხა და შრომის ნითელი დროშის ორდენოსანია, წლების მანძილზე იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და გარდაბნის რაიკომის ბიუროს წევრი. მესაზღვრე აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. არჩეულია აგრეთვე მსოფლიო მეფრინველეობის ასოციაციის წევრად, რესპუბლიკის ქალთა კომიტეტის, საქართველოს პროფსაბჭოს ქალთა კომისიის და ბევრი სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრად. რამდენიმე წლის წინათ წარმატებით დაიცვა დისერტაცია საქართველოში მეფრინველეობის განვითარების პრობლემებზე და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. იგი 24 მეცნიერული ნაშრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორია. გარდაქმნასთან დაკავშირებით, გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით დღეს საუბარი ამ ფაბრიკისა და მის ხელმძღვანელზე გვაქვს.

ᲜᲝᲠᲘᲝᲡ მეფრინველეობის ფაბრიკა დარგში საცდელ-საჩვენებელია. აქ ინერგება ყოველივე ახალი, პროგრესული და აქედან ვრცელდება სხვა ანალოგიური სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, აქ სისტემატურად მოდიან გამოცდილების შესასწავლად. ფაბრიკაში, მაგალითად, წარმატებით აითვისეს სამეურნეო ანგარიში, აკორდულ-პრემიული ანაზღაურება, კოლექტიური იჯარა და დანახარჯების კონტროლის საჩეკო სისტემა.

— სამეურნეო ანგარიშისა და ბრიგადული იჯარის დანერგვას სამი წლის წინათ შევუდექით, — გვეუბნება დირექტორი. — იგი დავიწყეთ საყოველთაო-ეკონომიკური სწავლებით. ახლაც თვლიწინ მიდგას ადამიანების მოწყენილი სახეები. სპეციალისტები და ქვეგანაყოფების ხელმძღვანელები თვლიდნენ, რომ ფოლს ტყუილად კარაკვდნენ. ინსტიტუტში კარგა ხანს სწავლობდნენ მას. ამჟამად კი ფაბრიკაშიც ივიგეს ვსწავლობთ, გვსაყვედურობდნენ ისინი. სპეციალისტები აიძულეს სასინჯად შეემუშავებინათ დარგში სამეურნეო-ანგარიშიანი დავალებები. და აღმოჩნდა, რომ ან ჰყოფნიდათ ანგარიშის ელემენტარული ცოდნა. მაგრამ სათანადოდ უნდა დაეუფლოთ მუშაობა ჩვენს ამხანაგებს: როდესაც მიხვდნენ, თუ სად იყო მათი სუსტი ადგილი, თითოეული მათგანი სერიოზულად შეუდგა სამეურნეო ანგარიშის პრობლემის შესწავლას. ითვალისწინებენ ბარჯების ყველა ელემენტებს, ცდილობენ შეამცირონ იგი.

მაგრამ ფაბრიკის ხელმძღვანელობა გრძნობდა, რომ სამეურნეო ანგარიშის უკუგება შეიძლებოდა უფრო მეტი იყოფილიყო. ყოველწლიურად იზრდებოდა პროდუქციის წარმოება, თხუთმეტი წლის განმავლობაში მისი მოცულობა თითქმის გაორკეცდა, სამწუხაროდ იზრდებოდა მისი თვითღირებულებაც. და ეს, უწინარეს ყოვლისა, ხდებოდა ქვეგანაყოფებში შიდასამეურნეო ანგარიშის არასაკმარისი ეფექტიანობით. მათი მუშაობის ეკონომიკური ანალიზი ხშირად თვლილი თვეებით არ კეთდებოდა. ზოგჯერ ხომ ერთი დღე-ღამეც საკმარისია იმისათვის, რომ მუშაობაში დანაკარგები აუნაზღაურებელი იყოს?

— ამ კარგმოებამ გვიკარნახა, — ამბობს მერი მდივანი, — საჩეკო სისტემა შემოგვეღო, რომლის შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა. ახლა ჩვენმა ბრიგადირებმა ყოველწლიურად იციან რამდენი რა დანახარჯს, რა სახსრები გააჩნიათ, მათს ანგარიშზე რა მატერიალური რესურსები ირიცხება. საჩეკო სისტემა საუკუთესოდ შეერწყა შიდასამეურნეო ანგარიშს. მართალია, თუ მთავარი სპეციალისტისათვის საკმარისი იყო მხოლოდ გაცხობოდა საჩეკო სისტემის ძირითად პრინციპებს, სამეურნეო-ანგარიშიანი ქვეგანაყოფების ხელმძღვანელები და სპეციალისტები ამ პრობლემებს დაწვრილებით სწავლობდნენ კონკრეტული ეკონომიკის სკოლაში.

სამეურნეოანგარიშიანი ქვეგანაყოფების ხელმძღვანელების მეშვიდეთა დიდი სახსრები იხარჯება: ფაქტობრივად ისინი გასცემენ მუშაკთა ხელფასს, იღებენ საკვებს, სამუშაოებს, რომლებსაც უსრულებენ სამანქანო-სატრაქტორო პარკი და ავტოტრანსპორტი, ეწევიან რემონტს და ა. შ. უფრო კარგად როგორ უნდა შევაფასოთ თითოეული საწარმოს ნაბიჯი?

სამეურნეო ოპერაციებისათვის, ხარჯების აღრიცხვისა და ანალიზისათვის ყველაზე მოხერხებული ბუღალტერია საანგარიშსწორებო ჩეკი. იგი მომვირნეობის დოკუმენტია. მასში შეიქვთ ხარჯების თვის ლიმიტი, ჩეკებზე აკინძულია წოგნაკად, რომლის სატიტულო ფურცელზე მითითებულია ნომერი, მრიგადის, ან სხვა ქვეგანაყოფის სახელწოდება მისი ხელმძღვანელის გვარი, სახელი და მამის სახელი. ჩეკის წიგნაკის სატიტულო ფურცლის უკანა მხარეს აღნიშნულია პროდუქციის წარმოების საკვებმო მონაცემები, სამუშაო, მომსახურება, ძირითადი ბუღალტის მიხედვით გაშიფრულია ხარჯების ლიმიტი. თითოეულ ჩეკზე დასმულია რიგითი ნომერი. ჩეკის მარჯვენა მხარე ანგარიშსწორების ნაწილია. ანგარიშსწორების დროს მას ახევენ, ხოლო წიგნაკზე რჩება ყუა იგივე რეკვიზიტებით, რომლებიც ანგარიშსწორების ნაწილზეა. ყუაზე ეწერება ანგარიშსწორებელი ანგარიშის ნომერი, ანგარიშსწორებელ ანგარიშზე ასახული ფასეულობათა გასაცემად. მისი მიღების შემდეგ ხელმძღვანელი თითოეულ სალიმიტო ბარათზე გამოწერს საგეგმო-საანგარიშსწორებო ფასებში საერთო ღირებულების ჩეკს პირზე, რომელიც ფასეულობებს გასცემს. მატერიალურ ფასეულობათა ზელიმბიური გაცემა დასაშვებია მხოლოდ ფაბრიკის დირექტორის ნებართვით და დარგის მთავარ სპეციალისტებთან შეთანხმებით. ამით მხოლოდ ქვეგანაყოფი იზარალებს. ასე რომ არ მოხდეს, ყველა ქვეგანაყოფი ცდილობს არ დაუშვას გადახარჯვა, გასწიოს ეკონომია. ფაბრიკაში ახლაც იგონებენ, ელზა თოდუას მეფრინველეობის ბრიგადის წევრებმა როგორ განაცხადეს უარი ძვირადღირებული ელექტროძრავის მიღებაზე, სამაგიეროდ ძველი შეაკეთეს საკუთარი სახსრებით და იოლად გადიან. აქ უფროსხელიდებიან აგრეთვე მოწყობილობასაც და ამით მისი საექსპლოატაციო ვადები თითქმის ორჯერ გაზარდეს. მათი შეცვლაც ხომ ბრიგადას დაეწერება ხარჯად!

ყოველი თვის ბოლოს ქვეგანაყოფის თითოეული ხელმძღვანელი ჩეკების ყუებისაგან ორ ეგზემპლიარად ადგენს ჩეკების რეესტრს და გადასცემს მას ბუღალტერიას. სამეურნეოანგარიშიანი ქვეგანაყოფების სამუშაოთა შეჯამების მიზნით ყოველი თვის დასაწყისში იმართება საბალანსო კომისიის სხდომები, სადაც განიხილავენ გავლილი თვის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგებს, გაიკვეთა სახსრების ეკონომიის მიღწევის მიზეზები და მუშავდება მათი აღმოფხვრის ღონისძიებები. უნდა ითქვას, რომ ბრიგადებში სახსრების გადახარჯვა არ ხდება და ამით საკმაო ეკონომიას იღებენ. მაგალითად, იმავე ელზა თოდუას ბრიგადამ მარტო იანვარში ხელფასის ფონდის 3 ათასი მანეთი და 2 ათასამდე მანეთის თბო და ენერგორესურსები, სხვა მატერიალური საშუალებანი დაზოგა.

ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲣᲧᲕᲐᲠᲐ

ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲣᲚᲘ ᲘᲯᲐᲠᲐ, ᲡᲐᲩᲔᲙᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲐ, ᲓᲐᲕᲜᲔᲠᲒᲝᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲣᲧᲕᲐᲠᲐ

ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲐᲓ შრომობს ცხინვალის სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივი. გარდაქმნის პირობებში თითოეული მშრომელი ცდილობს მაღალხარისხოვანი ნაწარმი გამოუშვას.

ქმედით სტიმულად იქცა საწარმოში ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის ხუთწლედის ორი წლის დავალებათა შესასრულებლად.

საქსოვ საამქროში შრომითს მეტოქეობას სათავეში ჩაუდგა ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს ოსტატის თანაშემწე იური ჯოიევი. მთავარი ყურადღება ეთმობა პროდუქციის ხარისხს, მის კონკურენტუნარიანობას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲗᲘ: ბრიგადირი იური ჯოიევი და შრომითი მეტოქეობის მეწინავენი, მქსოველები მარინე კოპაძე და ფატიმა ხარებოვა.

Ლ. ᲑᲣᲡᲘᲐᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ — 7 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ



ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲐᲓ შრომობს ცხინვალის სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივი. გარდაქმნის პირობებში თითოეული მშრომელი ცდილობს მაღალხარისხოვანი ნაწარმი გამოუშვას.

ᲒᲐᲜᲖᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ (ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ) ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲕᲘᲛᲝᲬᲐᲤᲘᲚᲝᲗ რა პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვაში, გვინდა გამოვთქვათ შემდეგი მოსაზრებანი და შენიშვნები:

პროექტში, ახლებურად, სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნების სულისკვეთებით არის ჩამოყალი

მცირე ექსკურსი

არ გაუმართლა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ოპტიკურ გამოკვლევათა განყოფილებას.

განყოფილებისა და, კერძოდ, მისი ხელმძღვანელის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის შერმაზან ყაყიჩაშვილის მიღწევებს კარგა ხანია აღიარება ხვდა არა მარტო ჩვენში, არამედ უცხოეთშიც, მაგრამ ეს საკმაოდ სახელმოხვეჭილი მეცნიერიცა და მისი თანამშრომლებიც წლების განმავლობაში ისეთ ყოვლად წარმოუდგენელ ყოფასა და გაწამაწიაში არიან, რომ საქმეში ოდნავ ჩახედული კაციც არ ისურვებს მათს ხელდრს.

ქართული ჰოლოგრაფიის მიღწევებზე, რომლებიც ისევ და ისევ ამ განყოფილების საქმიანობის უშუალო შედეგია, ჩვენი პრესა იუწყებოდა.

და მაინც, ალბათ, ზედმეტი არ იქნება, ცოტა რამ ისევ ითქვას ჰოლოგრაფიის რაობაზე, რამდენადაც იგი კვლავაც რჩება მეცნიერების შედარებით ახალ დარგად და ჩვენს ყოფასა და ყოველდღიურობაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ დამკვიდრებული ისე, როგორც ეს სასურველი და საჭიროა.

დავესესხოთ ერთ საგაზეთო პუბლიკაციას:

„პირველადი გამოსახულების მიღების ჰოლოგრაფიული ხერხი 1949 წელს იხგლისელმა ფიზიკოსმა დენის გაბორმა შეიმუშავა. ოღონდაც აუცილებელი თვისების მქონე სინათლის წყაროთა უქონლობის გამო მისი მეთოდის წარმატებით გამოყენება ძალზე ფერხდებოდა. კოგერენტული ოპტიკური გამოსხივების წყაროს — ლაზერების შექმნა უყრის საფუძველს ამ სფეროში მუშაობის გაფართოებას და მის შემდგომ სრულყოფას.

ჰოლოგრაფიაში არსებითი პროგრესი იწყება 1962 წელს და იგი, სხვებთან ერთად, განუყოფლად უკავშირდება საბჭოთა მეცნიერის გიორგი დენისიუკის სახელს...

ჰოლოგრაფიული გამოსახულება მნახველს უქმნის სრულ შთაბეჭდილებას, რომ იგი ხედავს რეალურ საგანს, სხვა განზომილებებთან ერთად აღიქვამს მის მოცულობასაც“.

ჰოლოგრაფიაში მიღწეული წარმატებების საფუძველი სინათლის ტალღის ღრმად შესწავლამ შექმნა. სინათლის ტალღურ ბუნებას, ფაქტობრივად, მხოლოდ ოთხი მახასიათებელი აქვს: სინათლის ამპლიტუდა, სინათლის ფაზა, ტალღის სიგრძე და ტალღის პოლარიზაცია.

დენის გაბორმა, როცა ჰოლოგრაფიული ჩაწერის მეთოდს ქმნიდა, სინათლის ტალღის ორი ძირითადი მახასიათებელი — ამპლიტუდა და ფაზა გამოიყენა. გიორგი დენისიუკმა შექმნა ტალღის სიგრძის (ფერის) ჩაწერისა და აღდგენის მეთოდი.

1971 წელს ჰოლოგრაფიული მეთოდის შემუშავება დამთავრდა: შერმაზან ყაყიჩაშვილმა შეიმუშავა სინათლის მეოთხე მახასიათებლის — სინათლის პოლარიზაციის მეთოდი.

სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა რეგისტრაციაში გაატარა ქართველი სწავლულის აღმოჩენა „ელექტრომაგნიტური ველის ტალღური სურათის წარმოსახვის მოვლენა“.

აი ძალზე მოკლედ ის, რასაც ჩვეულებრივ „ისტორიულ ექსკურსს“ ვუწოდებთ ხოლმე.

ხომ სასიხარულო და საამაყოა, რომ ამ ისტორიას ასე ძალე და სახელოვნად შეერთვის „ქართული ნაკადი“!

კეთილი: სახელი სახელად, სიამაყე სიამაყედ (რაც, რა თქმა უნდა, თავისთავად, დიდებულია), მაგრამ განა მეტისმეტად დამფიქრებელი არ არის ის, რომ წელი წელს მისდევს, დრო მიდის, ჩვენში კი საშვილი არ ადგება პრაქტიკაში ჰოლოგრაფიის მიღწევების გამოყენებას! ამ საქმის მოგვარებას კი, ეს არაერთხელ აღნიშნულა აქამდეც, წარმოუდგენელი სიკეთის მოტანა შეუძლია მედიცინის, ხელოვნების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა დარგებში.

ქართველი მეცნიერის მიერ აღმოჩენილმა მეთოდმა გამოყენების მანამდე ძნელად სავარაუდო შესაძლებლობები წარმოაჩინა ნივთიერების მოლეკულური აღნაგობის შესწავლის, სხვადასხვა კონსტრუქციის დაძაბული მდგომარეობის გამოკვლევის, ახალი ტიპის ელემენტებისა და მოწყობილობის შექმნის თვალსაზრისით.

სინათლეს, განსაკუთრებით მის პოლარიზაციას, დიდი ინფორმაციული ღირებულება აქვს, ასევე ფასეულია იგი ევრისტიკაშიც.

და კიდევ რის გახსენება შეიძლება ასე ნაუცბათევად, რაში შეიძლება წაგვადგეს კიდევ ჰოლოგრაფია?

უკვე არსებობს ჰოლოგრაფიული მიკროსკოპია, ჰოლოგრაფიული ინტერფერომეტრია.

იგი უბადლო საშუალებაა სამეზეიმო ფსევდოსკოპიური გამოსახულების მისაღებად.

ნეტავ განახად ლეგენდარული ბეჭა და ბეშქენ ოპიზრების დიდებული ნახელავების ჰოლოგრაფიული გამოსახულებანი!

რაღა ისინი გიხილავთ და რაღა ორიგინალი!

მაგრამ ჩვენ, მგონი, ძალზე გაგვიტაცა ჰოლოგრაფიის სიკეთეზე ზოგადმა მსჯელობამ, მთავარი სათქმელი კი ახლა სულ სხვაა: რატომ არ ჩანს ჩვენს ცხოვრებაში, გნებავთ ჩვენს ყოველდღიურობაში ამ შესანიშნავი მიღწევების ნაყოფი?

რა ხდება, რის გამო, რა მიზეზია?

სხკისი მოიმედენი და ხელისშემყურენი მაინც ვიყოთ, არსებითად ყველაფერი ხომ ჩვენს მონდომებაზეა დამოკიდებული?

საქმეც სწორედ ეგ გახლავთ: ჩვენში ამ დიდ საქმეს დღემდე არ უჩანს ჭეშმარიტი გულშემატკივარი.

სწორედ ამის გამო იყო, რომ ხუთიოდე წლის წინათ, 1982 წლის აგვისტოში, გაზეთმა „კომუნისტმა“ ღია წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს, კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექციას, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს... ყველას, ვის ხელშიც მნიშვნელოვანი მეცნიერული ადმოჩენის პრაქტიკაში დანერგვისა და თავად კიბერნეტიკის ინსტიტუტის ოპტიკური განყოფილების დღეკანდელი და ხვალინდელი დღის ბედი იყო.

თუმც ოპტიკურ განყოფილებას, ახლანდელისა არ იყოს, მაშინაც წარმოუდგენლად უქირდა ნორმალური არსებობის შენარჩუნება, ღია წერილი მაინც რამდენადმე ოპტიმისტური განცხადებით მთავრდებოდა: „ეფიქრობთ, გაიკლის დრო და ჩვენი გაზეთი ერთხელ კიდევ დაუბრუნდება ამ საჭირბოროტო საკითხს. იმედია, სათმდროოდ რადიკალურად შეიცვლება საქმის ვითარება, სასიკეთოდ შეიმბრუნდება იგი და სათქმელიც, ცხადად, სასურველი გვექნება“.

ასეთ იმედიან განწყობილებას თავისი საფუძველი ჰქონდა: პირველ ყოვლისა ეს გახლდათ ზემდგომი ორგანოების დადგენილება, რომელშიც ღრმად და ყოველმხრივ გაანალიზდა შექმნილი ნებაზე არ დაგვყვებით, რატომ ჯიუტობთ და აქედან არ გასახლდებითო!

სხვა რომ არაფერი დარჩენოდათ, ოპტიკური კვლევის განყოფილების თანამშრომლები მეტრდით გადაეფარებოდნენ ხოლმე (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) განყოფილებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოწყობილობასა და უაღრესად ძვირად ღირებულ მასალას (რით არა ჰგავს ეს სურათი ძველ მატიანეებში აღწერილ ჩვენთვის კარგად ცნობილ ეპიზოდებს!).

რა არ იღონეს, ვის არ მიმართეს (მათ შორის თბილისის კალინინის რაიონის პროკურორს!) განყოფილების თანამშრომლებმა, მაგრამ შემწეობა არსაიდან გამოჩნდა.

ამონაწერი ოპტიკური განყოფილების თანამშრომლის, ომისა და შრომის ვეტერანის, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის, სკკპ წევრის გივი დონაძის წერილიდან, რომელიც მან რედაქციას გამოუგზავნა: „1980 წლიდან მოყოლებული 86 კვადრატული მეტრი ფართობის ჩვენს ოთხ ოთახში არამცთუ მუშაობა, ყოფნაც შეუძლებელი. კერძოდ, ჩემს სამუშაო ოთახში ინახება სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო უაღრესად ძვირფასი მასალა, რის გამოც კარი, წესისამებრ, საღამოობით ილუქება ხოლმე. ლ. გიგინეიშვილის (ორგანიზაციისა და მართვის პრობლემების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალის დირექტორი—რედ) თანამშრომლები ამ ლუქს ზშირად აძრობენ, რათა წონასწორობიდან გამოგვიყვანონ და მერე ყველაფერი ჩვენ გადმოგვბრალონ...

1980 წელს თვითნებურად გამოგვირთეს წყალი და მას შენებაზე არ დაგვყვებით, რატომ ჯიუტობთ და აქედან არ გასახლდებითო!

ბოლოს, ერთ-ერთ ასეთ ინციდენტს, ოპტიკური ინსტიტუტის ფილიალის ინჟინერ-ტექნიკოსი ბ. ტ. ... ...

კინოფესტივალმა ალამი დაუშვა



(დასასრული)

ჯარის ნაწილებში, პროფესიული აზრთა გაზიარები, საუბრები, დისკუსიები. კინოს გამოჩენილი ოსტატების ანდრია ტარკოვსკის, ილია ავერბახის, სერგი გერასიმოვის, ქართველი რეჟისორისა და მსახიობის კოტე მიქაბერიძის ხსოვნის საღამოები.

ფესტივალის შთამბეჭდავი მოგვლენა იყო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი საბჭოთა კინომსახიობები. მთელი შემოსავალი მათ გადარიცხეს საქართველოს ატიქიური უბედურებით დაზარალებული რაიონების დახმარების ფონდში.

ერთი კვირის მანძილზე აჩვენეს ასამდე მხატვრული, დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული, მულტიპლიკაციური ფილმი, საბავშვო და საყმაწვილო სურათები.

ახლანდელი კინოფესტივალის სიახლე იყო დისკუსია „თავისუფალი ტრიბუნა“, რომელზეც განიხილეს საბჭოთა კინემატოგრაფის აქტუალური პრობლემები, მისი მომავალი. ფესტივალის დღეებში მუშაობდა დიდი და მცირე არეოპაგი — დოკუმენტური და მხატვრული ფილმების კრიტიკოსთა საბჭო.

ფესტივალი დამთავრდა. შეჯამდა მისი შედეგები. იგი იქნება ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტი მოვალეერთვნული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარების გზაზე, რომელიც ახლა გარდაქმნის პერიოდს განიცდის.

გამარჯვებული ფილმების ოფიციალურ გამოცხადებამდე საქართველოს პროფსაბჭოს, რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და შემოქმედებითი კავშირების მიერ დაწესებული საზოგადოებრივი პრიზები გადასცეს: ლენინგრადის დოკუმენტური ფილმების სტუდიას — რეჟისორ გ. ნაუმოვის ფილმისათვის „ცდები“ (საქართველოს პროფსაბჭოს პრიზი), კინოსტუდია „მოსფილმის“ რეჟისორის კ. ზახნაზაროვის საბავშვო და საყმაწვილო ფილმს „შიკრიკს“ (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზი); უკრაინელ რეჟისორს ვ. შევჩენკოს (სკკვდილის შემდეგ) — დოკუმენტური ფილმის „ჩერნობილი. ძნელი კვირების ქრონიკის“ ერთ-ერთ შემქმნელს (შემოქმედებითი კავშირების პრიზი).

მულტიპლიკაციური ფილმების ჟიურის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რ. გაბრიაძემ წაიკითხა ჟიურის გადაწყვეტილება. პირველი პრიზი — „გულწრფელობისა და მხატვრული მთლიანობისათვის“ მიენიჭა ფილმს „კაპრიჩიო“ (კინოსტუდია „ბელარუსფილმი“). მეორე პრიზით — „ბავშვის სამყაროს სათუთი ასახვისათვის“ დაჯილდოვდა რეჟისორ ე. მარჩენკოს ფილმი „ლაფერტული ხაშხაშის თავი“ („ბელარუსფილმი“).

ფესტივალის დროს მუშაობდა საბავშვო ჟიური საზოგადოებრივ საწყისებზე, რომელმაც თავისი პრიზი მიანიჭა რეჟისორ კ. ზახნაზაროვის ფილმს „შიკრიკს“.

— ეს ფილმი ზომიერად სერიოზული და ზომიერად სასაცილოა. ეკრანზე ვნახეთ გულწრფელი, გონებამახვილი, მაგრამ ამავე დროს თავის თავში დაეჭვებული გმირი, რომელიც ჩვენ ძალიან გვგავს, — თქვა თბილისელმა მოსწავლემ ლაშა ყვანიამ, როცა პრიზს გადასცემდა რეჟისორს.

საბავშვო და საყმაწვილო ფილმების ჟიურის თავმჯდომარემ, საქართველოს სახალხო არტისტმა ლ. ოღოლობერიძემ შეკრებილთა აცნობა: პირველი პრიზი „მკაცრი რეალიზმისა და ზნეობრიობისა და ადამიანური ღირსების თემის მაღალი მხატვრული გააზრებისთვის“, მიენიჭა რეჟისორ ს. სოლოვიოვის ფილმს „სხვისი თეთრა და ქროლა“ („აზაზფილმი“ „მოსფილმის“ მონაწილეობით).

მეორე პრიზი „თანამედროვე ახალგაზრდული პრობლემების გადაწყვეტაში თავისებური მხატვრული ძიებისათვის“ გადაეცა რეჟისორ ვ. ჟერეგის ფილმს „ოონა“ (კინოსტუდია „მოლდოვაფილმი“).

— ფესტივალის დოკუმენტურმა ეკრანმა მაყურებელს წარუდგინა საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და შრომის ფართო პანორამა, — თქვა საღამოზე გამოსვლისას დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ჟიურის თავმჯდომარემ, საქართველოს სახალხო არტისტმა მ. კოკოშაშვილმ.

დიდი პრიზი „მოქალაქეობრიობისა და ზნეობრივი მომთხოვნელობისათვის“ მიენიჭა რეჟისორ ი. პოფნიექსის ფილმს „ადვილია იყო ახალგაზრდა?“ (რიგის კინოსტუდია). პრიზით „სათუთი და შთაგონებული დოკუმენტური კინომოთხრობისათვის“ დაჯილდოდა რეჟისორ ა. ივანკინის ფილმი „საყვირის სოლო“ (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია). პრიზი „ცხოვრების მართალი და უკომპრომისო ასახვისათვის“ მიენიჭა ფილმის „კიბეზეს კუნძულის გლეხების“ ავტორს მ. სოოსფს (კინოსტუდია „ტალინფილმი“).

მცირე და დიდი არეოპაგების — ფორუმზე მომუშავე კინოკრიტიკოსთა საბჭოს შედეგები გამოაქვეყნეს კინომკოდნემ კ. ფერეთელმა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანმა ნ. დროზდოვმა. არეოპაგების აზრი ბევრად დაემთხვა ჟიურის შეფასებას.

მხატვრული ფილმების ჟიურის თავმჯდომარემ, საქართველოს სახალხო არტისტმა ე. შენგელაიამ, სანამ გამარჯვებულ ფილმებს დაასახელებდა, აღნიშნა, კერძოდ, რომ ქვეყნის ზოგიერთმა კინოსტუდიამ ახლანდელ კონკურსზე წარმოადგინა ნამუშევრები, რომლებიც არ შეესაბამებოდა დათვალიერების დიდ მოთხოვნებს. მხატვრული ფილმების ჟიურის წევრებმა, თქვა მან, დააფასეს თავისებური პრიზი — „ფხიზელი თვითმფასებისათვის“, რომელიც წილად ხვდა ლიტვის სტუდიას — ერთადერთ კოლექტივს. რეალურად რომ შეაფასა თავისი ნამუშევარი და გადაწყვიტა მოეხსნა იგი საკონკურსო პროგრამიდან.

შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ XX საკავშირო კინოფესტივალის მთავარი პრიზი მიენიჭა რეჟისორ თ. აბულაძის ფილმს „მონანიებას“ („ქართული ფილმი“).

დიდი პრიზით დაჯილდოდა რეჟისორ კ. მურატოვას ფილმი „ხანგრძლივი გაცილება“ (ოდესის კინოსტუდია). საინტერესოა აღინიშნოს, რომ 16 წლის წინათ შექმნილი ეს ფილმი, რომელიც თბილისის 1972 წლის საკავშირო კინოფესტივალზე იყო წარმოდგენილი, მაშინ მოიხსნა საფესტივალო აფიშიდან და დღემდე ეკრანებზე არ უჩვენებიათ. და მხოლოდ დღევანდელ ვითარებაში, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ვითარებაში გახდა შესაძლებელი ღირსეულად შეფასებულიყო ეს ნაწარმოები.

სპეციალური პრიზი „ზნეობრივი შინაარსისა და სტილისტიკური ძიებისათვის“ მიენიჭა რეჟისორ ს. ბოდროვის ფილმს „არაპროფესიონალები“ („ყაზაფილმი“).

ჟიურის პრიზით — „რეჟისორული დებიუტისა და გამომსახველობისათვის“ აღინიშნა რეჟისორ კ. ლოპუშანსკის ფილმი „მკვდარი ადამიანის წერილები“ („ლენფილმი“).

ჟიურის პრიზი „თანამედროვე ხალხური ხასიათის განსახიერებისათვის“ მიენიჭა პოპულარულ საბჭოთა მსახიობს ა. ჯიგარხანიანს, რომელმაც შექმნა სააკიანის სახე ფილმში „ეული კაკლის ხე“ („არმენფილმი“).

XX საკავშირო კინოფესტივალის შედეგები შეაჯამა სსრ კავშირის სახკინოს თავმჯდომარემ ა. კამშალოვმა, რომელიც დათვალიერების დახურვაზე გამოვიდა.

...საზეიმოდ ღღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები. დაეშვა ფესტივალის ალამი. საბჭოთა კინემატოგრაფის მატიანეში ჩაიწერა მისი მიღწევების კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი.

ᲮᲔᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: თბილისის XX საკავშირო კინოფესტივალის გამარჯვებულნი: მარცხნიდან — მთავარი პრიზის მფლობელი, კინორეჟისორი თენგიზ აბულაძე, ფილმისათვის „მონანიება“; კინორეჟისორი კირა მურატოვა ფესტივალის დიდ პრიზს იღებს ფილმისათვის „ხანგრძლივი გაცილება“; დოკუმენტური ფილმისათვის „ადვილია იყო ახალგაზრდა?“ დიდი პრიზით დაჯილდოდა კინორეჟისორი იურის პოდნიეკი.

ჯ. ლომაძის („კომუნისტი“), ა. რუხაძის და მ. დათიკაშვილის (საქინფორმი) ფოტო.



ჭადრაკის დღესასწაული თბილისში

ᲑᲘᲒᲘᲐᲜᲗᲣᲠ საჭადრაკო ასპარეზად იქცა გასულ შაბათს თბილისის რესპუბლიკის მოედანი. აქ გაიმართა ერთდროული თამაშის სეანსი ერთბაშად 700 დაფაზე.

თბილისელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ჭადრაკის წლევანდელმა დღესასწაულმა, რომელიც მოეწყო რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სპორტსახკომის ინიციატივით. სხვადასხვა პროფესიის ადამიანებმა გამოთქვეს სურვილი შებრძოლებოდნენ ცნობილ ოსტატებს. მოჭადრაკეთა გუნდს წარმოადგენდნენ ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, თამაზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ზურაბ აზმაიპარაშვილი, ზურაბ სტურუა, ქეთევან არახამია, აგრეთვე მოსკოველი ნატალია კონოპლეოვა, შვედი ქრისტინა ნიუბერგი, პოლონელი ლილიანა ლეშნერი, რუმინელი ლეგენა ეკიმანი — თბილისში ამყოფად მიმდინარე ქალთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი.

...შვიდი წლის ქეთევან წერეთელი დღესასწაულზე თავის ძმასთან — 12 წლის ავთანდილთან ერთად მოვიდა. გოგონა მხოლოდ ახლა სწავლობს ამ თამაშის საიდუმლოებებს. პირველი გაკვეთილები მას ძმამ მისცა, რომელსაც მესამე თანრიგი აქვს. ქეთევანი მაგიდასთან სახელგანოქმული საბჭოთა ფეხბურთელთან ბორის პაიჭაძესთან ერთად აღმოჩნდა. მათი მეტოქე იყო თვით ნონა გაფრინდაშვილი. გოგონამ წაიგო თავის ცხოვრებაში პირველი ოფიციალური შეხვედრა და... ატირდა. დიდოსტატს პატარას დამშვიდება მოუწია.

ამ დროს კი მილოცვებს იღებდა ინდოელი მანან ბაისურეში, რომელიც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველ კურსზე სწავლობს. მან ქეთევან არახამიას მოუგო.

— ჭადრაკმა სერიოზულად თბილისში გამიტაცა, — თქვა სტუმარმა. — ჩემი მწვრთნელია ოთარ თურქესტანიშვილი. მისი ხელმძღვანელობით შევიძელი შემესრულებინა ოსტატის კანდიდატის ნორმა საქართველოს ჩემპიონატში.

აღფრთოვანებას ვერ ფარავდა შვედი ქრისტინა ნიუბერგი, რომელსაც ყველაზე დიდხანს მოუწია თამაში — მას ღირსეული მეტოქეები აღმოაჩნდა.

— ნანახმა ჩემს მოლოდინს გადააჭარბა, — აღიარა მან მოგვიანებით. — ჭადრაკი აქ მხურვალედ უყვართ. ასეთ დღესასწაულზე ჩემს თანამემამულეებს მხოლოდ ოცნება თუ შეუძლიათ. ახლა ვიცი, თუ რატომ არის თქვენს რესპუბლიკაში ამდენი გამოჩენილი მოჭადრაკე ქალი.

გვიანობამდე გაგრძელდა ჭადრაკის დღესასწაული რესპუბლიკის მოედანზე.

— დღეს არავინ ითვლიდა დაგროვილ ქულებს. დღესასწაულზე ხომ დამარცხებული არავინ არის. მხოლოდ უნდა ვისურვოთ, რომ მომავალში ასეთი შეხვედრები ჭადრაკის დაფასთან ტრადიციული გახდეს, — თქვა ბოლოს ნონა გაფრინდაშვილმა.

შ. შალოლაშვილი,
საქინფორმის კორ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ჭადრაკის დღესასწაული რესპუბლიკის მოედანზე. ვ. ვალეშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

XI საერთაშორისო...

ᲛᲝᲜᲢᲔᲠᲔᲧᲘ. ქალთა ტურნირის მეშვიდე ტურში დიდი სიძძაფრით გამოირჩეოდა პირველი ადგილის პრეტენდენტების აბმილოვსკაიასა და ლაგვილავას პარტია. მისი პირველი ნაწილი მრავალნაკადი დიდოსტატის უპირატესობით აღინიშნა. მან წინ დასძრა ცენტრალური გამსვლელი პაიკი. მიიღო ორი კუს უპირატესობაც. ლაგვილავას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მძიმე პოზიციაში ჩინებული ტაქტიკურ შესაძლებლობებს პოულობდა და ბოლოს და ბოლოს შეძლო სახიფათო კონტრშეტევის დაწყება. გადადებული პოზიცია მეტად რთულია და დეტალურ ანალიზს მოითხოვს. ლაგვილავას მხარეზე თვალსაჩინო მატერიალური უპირატესობაა (ხარისხი და პაიკი), აბმილოვსკაიამ კი გამსვლელი პაიკი ერთი ფეიერვერკულ ტემპამდე წასწია. ორივე მეფის პოზიცია გაშიშვლებულია, რაც სხვადასხვა კომბინაციურ მოტივებს ქმნის.

ასევე მეტად რთული პოზიცია შეიქმნა არახამია-პეიჩევის პარტიაში. ორივე მეტოქე მხოლოდ ერთ რამეს ცდილობდა — მეფის წინააღმდეგ შეტევის დაწყებას. ქართველმა მოჭადრაკემ დაასწრო მოწინააღმდეგეს. იგი შეწირავს არ მოერიდა და შავების მეფე აიძულა მთელი დაფის გადლეთ მეტოქის განლაგებაში გადაეცვლებინა, სადაც საშამათო ქსელში აღმოჩნდა, ზაი